დიპლომატიური სამსახურის ფეხბურთის ლიგა

ტურნირის გამართვის წესები

1. ტურნირში მონაწილეობის წესები

1.1 ტურნირში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

1.2 ტურნირში მონაწილეობის საფასურია 1200 ლარი;

1.3 ტურნირში მონაწილეობის მსურველებმა ორგანიზაციებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ განაცხადი (იხ. mfl.diplomaticservice.ge) დაურთონ მას მოთამაშეების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები, აგრეთვე ცნობა სამსახურის შესახებ და გამოაგზავნონ ელ. ფოსტაზე, არა უგვიანეს მიმდინარე წლის 3 ოქტომბრისა. (info@diplomaticservice.ge);

1.4 განაცხადში შესაძლებელია 13 მოთამაშის შეყვანა ;

1.5 ტურნირის მსველობისას განაცხადში ცვლილებების შეტანა არ იქნება შესაძლებელი;

1.6 იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული ორგანიზაციის მამაკაცი თანამშრომლების რაოდენობა არ აღემატება ორმოცდაათს, ორგანიზაციას შეუძლია დაიმატოს სამი მოთამაშე;

1.7 ყველა მოთამაშე სავალდებულოა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1.7.1 ბოლო 5 კალენდარული წლის მანძილზე არ უნდა ქონდეს მოთამაშის კონტრაქტი ნებისმიერი ლიგის პროფესიონალურ კლუბთან;

1.7.2 ფუტზალის შემთხვევაში ასეთი კონტრაქტი არ უნდა არსებობდეს ბოლო 6 წლის მანძილზე;

1.7.3 არ უნდა იყოს 21 წლამდე;

1.7.4 თითოეულ გუნდში დასაშვებია მხოლოდ 3 ყოფილი ფუტზალის პროფესიონალი მოთამაშე;

1.8 მიღებული საბუთების და განაცხადის განხილვის შემდეგ "დიპლომატიკსერვისი" გონივრულ ვადაში დაუდასტურებს მსურველ ორგანიზაციას რეგისტრაციის წარმატებით გავლის შესახებ;

2. ტურნირის ჩატარების სისტემა

2.1 ტურნირი ჩატარდება ორ ეტაპად;

2.2 I ეტაპზე გუნდები კენჭისყრის საფუძველზე გადანაწილდებიან ქვეჯგუფებში, საიდანაც საუკეთესო მაჩვენებლის გუნდები II ეტაპზე პლეიოფის სისტემით გააგრძელებენ ასპარეზობას;

2.3 ქვეჯგუფებში გუნდების რაოდენობა ისევე როგორც გამსვლელი ადგილებისა დამოკდებულია მონაწილეების რაოდენობაზე;

2.4 ქვეჯგუფში თამაშები გაიმართება ორ წრედ;

2.5 სტუმრის და მასპინძლის სტატუსი იქნება პირობითი ამიტომ ურთეერთეშეხვედრებში არ იქნება გათვალისწინებული მეტოქის მოედანზე გატანილი გოლი;

2.6 ტურნირი გაიმართება ღია ხელოვნურსაფარიან სტადიონზე.

2.7 ინფორმაცია ტურნირის კალენდარისა და განრიგის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ვებ გვერდზე (www.mfl.diplomaticservice.ge).

3. ქულების დარიცხვის პრინციპი

3.1 ტურნირზე ქულები შემდეგი პრინციპით დაირიცხება: მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა;

3.2 ქვეჯგუფში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გადანაწილდება შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

3.2.1 გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა;
3.2.2 ურთიერთშეხვედრების შედეგი;
3.2.3 გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
3.2.4 მოგებების რაოდენობა;
3.2.5 ფეარ-პლეის შედეგები;
3.2.6 კენჭისყრა.

4. სადისციპლინო სასჯელი

4.1 კალენდარულ მატჩზე არ გამოცხადების შემთხვევაში გუნდს ჩაეთვლაბე წაგება ანგარიშით 0:5;

4.2 თუ გუნდის რომელიმე მოთამაშეს აცვია განსხვავებული ფორმა (მაისური; შორტი) იგი არ დაიშვება მოედანზე;

4.3 თამაშამდე, თამაშის მსვლელობისას ან თამაშის დამთავრების შემდეგ გუნდის წარმომადგენელების ან მათი გულშემატკივრის მიერ ჩადენილი უდისციპლინო საქციელი განიხილება ტურნირის ადმინისტრაციის მიერ და გონივრულ ვადებში მიღებული იქნება გადაწყვეტილება შესაბამისი სიმძიმის სასჯელის შესახებ.

5. ტურნირის ტექნიკური რეგულაცია და თამაშის წესები

5.1 თამაშის წესები რეგულირდება მსაჯის მიერ წარმოდგენილი წესების მიხედვით;

5.2 განსაკუთრებული სახის სადავო საკითხები განიხილება ტურნირის ადმინისტრატორის და მთავარი მსაჯის მიერ, რომლებიც ერთობლივად მიიღებენ გადაწყვეტილებას საკითხის სირთულის შესაბამისად გონივრულ ვადაში;

5.3 მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება მონაწილეთათვის.